

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY



NATALI ACADEMY
NATALI GROUP

პროფესიული სტუდენტების კითხვარის ანალიზის
ანგარიში და რეკომენდაციები

11 ივლისი, 2025

შესავალი

კოლეჯში ხარისხის მართვის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი არის სტუდენტთა ჩართულობისა და კმაყოფილების დონეზე მუდმივი მონიტორინგი, რაც განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანობასა და განვითარების საჭიროებებს. ამ მიზნის მისაღწევად, 2025 წელს „ნატალი აკადემიაში“ ჩატარდა სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო აკადემიის სხვადასხვა პროფესიული პროგრამის 42-მა სტუდენტმა.

გამოკითხვა მიზნად ისახავდა სტუდენტების მხრიდან სწავლების ხარისხის, სასწავლო გარემოს, ინფრასტრუქტურის, ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და ზოგადი აკადემიური გამოცდილების შეფასებას. სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ განხორციელებული პროფესიული სტუდენტების კითხვარის ანალიზი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც დაეფუძნა როგორც რაოდენობრივ, ისე თვისობრივ შეფასებებს და დაეხმარება კოლეჯს მიზანმიმართულად დაგეგმოს ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებები.

2025 წლის პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის ანალიზი ასახავს, რომ ნატალი აკადემია წარმატებით ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომით. უმრავლესობა დადებითად აფასებს როგორც სასწავლო გარემოს, ასევე ადმინისტრაციის სამართლიანობასა და ლექტორების პროფესიონალიზმს. პოზიტიური განწყობა აკადემიის მიმართ გამოიხატება როგორც სწორი არჩევნის შეფასებაში, ისე რეკომენდაციის მზაობაში.

ამავე დროს, პასუხებში ჩანს გამოცდილების მრავალფეროვნება — გამოკითხვა ასახავს ძლიერი მხარეების პარალელურად იმ სივრცეებსაც, სადაც განვითარება საჭირო. შედეგად, ჩამოყალიბდა მიზნობრივი ანგარიში და რეკომენდაციები, რომლებიც წარედგინება აკადემიის მენეჯმენტს და შემდგომში განსაზღვრავს შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან მათზე რეაგირების განხორციელებას.

სტუდენტების გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, კმაყოფილების მაჩვენებლის ზრდისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, გამოიკვეთა 5 მნიშვნელოვანი მიმართულება და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ შემუშავდა წინამდებარე ანგარიში და რეკომენდაციები.

სტუდენტური გამოცდილების გაუმჯობესების რეკომენდაციები

1. ინფორმირებულობის გაუმჯობესება სწავლების დასაწყისშივე

სწავლის პროცესში სტუდენტთა ეფექტური ჩართულობისთვის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს სწავლის დასაწყისშივე პროგრამის მიზნობრიობისა და შინაარსობრივი სტრუქტურის ნათლად გაგება. გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით შეინიშნება, რომ სტუდენტები არასაკმარისად ფლობენ ინფორმაციას პროგრამის ზოგად კონცეფციაზე, სწავლის მოდულებზე, შეფასების სისტემასა და ხელმისაწვდომ მატერიალურ/აკადემიურ რესურსებზე,

რაც შეიძლება უარყოფითად აისახოს მათ მოტივაციასა და სწავლისადმი დამოკიდებულებაზე.

რეკომენდაციები სტრუქტურებისთვის:

1. თითოეული გრძელვადიანი პროგრამისთვის მომზადდეს ერთიანი ფორმატის სახელმძღვანელო ან პრეზენტაცია („სტუდენტის გზამკვლევი“), რომელიც წარდგენილი და მიწოდებული იქნება ყველა სტუდენტისთვის სწავლების დაწყების ეტაპზე.
2. აღნიშნული სახელმძღვანელო/პრეზენტაცია უნდა მოიცავდეს: პროგრამის მიზნებს, სწავლების სტრუქტურას, მოდულურ შინაარსს, შეფასების ფორმატებს, მატერიალურ და ელექტრონულ რესურსებზე წვდომის წესებსა და ადმინისტრაციულ საკონტაქტო პირებს.
3. პრეზენტაციის შემუშავებასა და წარდგენაში რეკომენდებულია ჩართული იყვნენ როგორც თითოეული პროგრამის ხელმძღვანელის, ასევე სასწავლო პროცესის მენეჯერი და პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, რათა მისი შინაარსი და იყოს სწორხაზოვანი, შესაბამისობაში არსებული რეგულაციებთან და პრაქტიკულ საჭიროებებთან.

2. ლაბორატორიებისა და სახელოსნო ინფრასტრუქტურის გაძლიერება

პრაქტიკულ კომპონენტებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურ განხორციელებას განაპირობებს შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა. სტუდენტების შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ უმეტესი ნაწილია კმაყოფილია აკადემიის ინფრასტრუქტურით, ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნულია, რომ არსებული მატერიალური რესურსი და ტექნოლოგიები ყოველთვის სრულყოფილად ვერ აკმაყოფილებს მზარდი სტუდენტური ჯგუფების რაოდენობრივ მოთხოვნებს.

რეკომენდაციები სტრუქტურებისთვის:

4. მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორმა უნდა გამოითხოვოს დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კომისიის დასკვნა, რის საფუძველზეც დაადგინოს არსებული ინფრასტრუქტურის (რესურსის) პროგრამებთან შესაბამისობა. ამის შემდგომ, კოორდინატორმა მოამზადოს რესურსის შეფასების ანგარიში შესაბამისი ანალიზის, რეკომენდაციებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით.
5. შესწავლილ იქნას საჭიროებების საფუძველზე ახალი ტექნოლოგიური და მატერიალური რესურსების შერჩევის და განვითარების შესაძლებლობები.
6. ამ პროცესში მიზანშეწონილია, სამომავლოდ დამატებითი ფონდების მოძიების აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება, რაც შეიძლება მოიცავდეს კოლაბორაციის გაღრმავებას კერძო სექტორის წარმომადგენლებთან (სპონსორობა, ტექნიკის დონაცია

ან ერთობლივ საგანმანათლებლო პროექტები), საგრანტო კონკურსებში მონაწილეობას და სხვა.

3. სასწავლო რესურსების შესაბამისობის უზრუნველყოფა

სასწავლო რესურსების შესაბამისობა პროგრამის შინაარსთან მნიშვნელოვანად განსაზღვრავს თეორიული კომპონენტის ხარისხს. სტუდენტების უმრავლესობა (78%-ზე მეტი) დადებითად აფასებს ბიბლიოთეკით უზრუნველყოფის ხარისხს, რაც მიუთითებს საჭირო რესურსებზე წვდომის არსებობაზე. თუმცა, რამდენიმე პასუხში გამოჩნდა განსხვავებული აზრი. შესაბამისად, აუცილებლობას წარმოადგენს არსებული მდგომარეობის მეტად გაუმჯობესება.

რეკომენდაციები სტრუქტურებისთვის:

7. აკადემიის ბიბლიოთეკარმა აკადემიის სხვა თანამშრომელთან (საჭიროებისამებრ) ერთად უნდა განახორციელოს სისტემური ანალიზი არსებული რესურსების შესაბამისობაზე პროგრამულ მოთხოვნებთან.
 8. მიზანშეწონილია, ციფრული რესურსების (e-book-ები, მონაცემთა ბაზები და სხვა) განვითარების მეტად მხარდაჭერა.
 9. აკადემიის ბიბლიოთეკარის მიერ განხორციელებული ანალიზის საფუძველზე საბიბლიოთეკო ფონდის განვითარება - შესაბამისი აუცილებელი რესურსის განახლება/შექმნა/შეძენა (მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორისა და შესყიდვების სპეციალისტის მიერ).
-

4. სტუდენტური უკუკავშირის სისტემატიზაცია

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში სტუდენტური უკუკავშირის შეგროვება და ანალიზი მიიჩნევა ერთ-ერთ მძლავრ ინსტრუმენტად ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში. ამიტომ მნიშვნელოვანია, უკუკავშირის შეგროვება მოხდეს რეგულარულად და გაანალიზდეს სისტემურად, რაც გააუმჯობესებს და დააჩქარებს რეაგირების მექანიზმებსა და პროცესების განვითარებას.

რეკომენდაციები სტრუქტურებისთვის:

10. პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა სამოქმედო გეგმის შესაბამისად დაამკვიდროს რეგულარული უკუკავშირის ფორმატი.
11. ჩატარებული გამოკითხვის შესაბამისად შეადგინოს უკუკავშირის შედეგების ანალიზი.
12. უკუკავშირის შედეგების საფუძველზე შეიმუშაოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი გაუმჯობესების გეგმა.

5. კომპიუტერული და ინტერნეტ ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის გაფართოება

კომპიუტერული და ინტერნეტ ინფრასტრუქტურა აკადემიაში თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. სტუდენტთა უმეტესობა ინტერნეტთან ხელმისაწვდომობას დადებითად აფასებს, რაც მიუთითებს, რომ სასწავლო სივრცე ტექნოლოგიურად გამართულია ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის. მცირე ნაწილი პასუხობს, რომ ნაწილობრივ კმაყოფილია აღნიშნული ინფრასტრუქტურით. შესაბამისად, რეკომენდებულია გაუმჯობესდეს აღნიშნული მიმართულებები შესაბამისი რეაგირების მეშვეობით.

რეკომენდაციები სტრუქტურებისთვის:

13. ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის სამსახურმა უნდა განახორციელოს კომპიუტერული რესურსების დატვირთვის შეფასება, გამოავლინოს ხარვეზები და შეიმუშაოს სერვისების ოპტიმიზაციის გეგმა.
14. მიზანშეწონილია სამუშაო ადგილების/კომპიუტერული ტექნიკის რაოდენობის შეფასება და შედეგების შესაბამისი რეაგირება (შეკეთება/განახლება/შემენა) და ასევე, ინტერნეტთან კავშირის მონიტორინგი და შეუზღუდავი კავშირის უზრუნველყოფა.

დასკვნა

სტუდენტებთან ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას სტუდენტთა საჭიროებებისა და მოლოდინების შესაბამისად. წინადადებები მოიცავს როგორც ინფორმაციული გამჭვირვალობის ზრდას სწავლების საწყის ეტაპზე, ასევე ინფრასტრუქტურის, სასწავლო რესურსების, ტექნოლოგიური უზრუნველყოფისა და უკუკავშირის მექანიზმების გაძლიერებას. თითოეული რეკომენდაცია მიმართულია იმ საკვანძო კომპონენტების გაუმჯობესებაზე, რომლებიც განაპირობებს ხარისხიან და სტუდენტზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო გარემოს.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული რეკომენდაციები ინტეგრირდეს სტრუქტურულ სამოქმედო გეგმებში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი ეფექტიანი განხორციელება, სისტემური განვითარება და მონიტორინგი. აღნიშნული ნაბიჯები ხელს შეუწყობს აკადემიის სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობას, ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებასა და სტუდენტთა კმაყოფილების ზრდას.